

შპს „ელვა“

ს/კ 205108578

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

„ელვა“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ცაგარელის ქუჩა, (ყოფ.კრონშტანტის) №58.

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, წინამძღვრიშვილის 94.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სადაზვერვო ბურღვა და ფეთქებითი სამუშაოებით მომსახურება. დამხმარე საქმიანობა არის ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლისა და ნედლეულის რეალიზაციები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

2.1 ამონაგების აღიარება

მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი ამონაგები აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევის დასრულებისას.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.2 მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს.

2.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მისაყვანად ასევე დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს.

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
სატრანსპორტო საშუალებები	20 პროცენტი
სხვა ძირითადი საშუალებები	15-20 პროცენტი

2.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიისთვის არსებობის შემთხვევაში, არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამა- მულ უზრუნველყოფას, რომელიც პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია განსაზღვრულია ნარჩენი ღირებულებით. სასარგებლო გამოყენების კადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

2.5 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის კადის განმავლობაში.

2.6 სეაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. შაკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა არასაოპერაციო მოგებაში ან სხვა არასაოპერაციო ზარალში.

2.7 საპროცენტო შემოსავალი/ზარჯი

საპროცენტო შემოსავალი/ზარჯი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდზე გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების დარიცხულ და მისაღებ/გადასახდელ თანხებს, რომელიც აღიარდება საპროცენტო შემოსავლებში/ზარჯებში.

3. დივიდენდების გადახდა

დივიდენდის განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მას ამტკიცებენ კომპანიის დამფუძნებლები. შესაბამისი თანხის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში.

4. ამონაგები

2021

მომსახურების გაწევიდან	2,504,641
საქონლის რეალიზაცია	67,208
<u>სულ</u>	2,571,849

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოიცავს მხოლოდ არასაოპერაციო შემოსავლებს. (კონვერტაცია, გადაფასება და ა.შ).

6. საბიუჯეტო გადასახადები

	2021	2020
სხვა საგადასახადო კალდებულებები	65	31,056

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	967,222	506,067
გადახდილი ავანსები	32,681	18,898
	<u>999,903</u>	<u>524,965</u>

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2021	2020
სხვა მიმდინარე აქტივები	42,066	10,932
	<u>42,066</u>	<u>10,932</u>

9. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი სა
	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2021წ.	84,750	130,925	101,598
შემოსვლა	()	163,957	5,197
გასვლა	(84,750)	()	(45,822)
31 დეკემბერი, 2021წ.	()	294,882	60,973
 დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი, 2021წ.	24,252	15,549	44,964
წლიურიცვეთა	()	33,341	(8,011)
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2021წ.	(<u> </u>)	<u>48,890</u>	<u>36,953</u>
 საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2021წ.	(<u> </u>)	<u>245,992</u>	<u>24,020</u>

10. არამატერიალური აქტივები

კომპანიას ბალანსზე არამატერიალური აქტივები არ უფიქსირდება 2021 წლის საანგარიშო პერიოდზე.

11. გრძელვადიანი სესხი

კომპანიას 2021 წლის საანგარიშო პერიოდზე გაცემული ან მიღებული სესხები არ უფიქსირდება.

12. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შეადგენს 64,706 ლარს. ხოლო 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 179,199 ლარს შეადგენდა.

13. იჯარის ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფიზიკური პირისგან ბინა. ამ იჯარის ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა. 2021 წლის განმავლობაში იჯარით აღებული ფართის თანხამ შეადგინა 21,488 ლარი, რომელიც ასახულია საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებში.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	322,706	262,365
	<u>322,706</u>	<u>262,365</u>

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშდება და აისახება საკურსო სხაობები სხვა არასაოპერაციო შემოსავალში ან სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისიგამოცემის
ნებართვა გასცა 2022 წლის 30 სექტემბერს.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - (შპს ელვა 205108578)

აქტივები	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	322,706	262,365	130,093
სავაჭრო მოთხოვნები		967,222	506,067	443,798
გადახდილი ავანსები		32,681	18,898	13,152
სხვა მიმდინარე აქტივები	8	42,066	10,932	80,423
სხვა არამატერიალური აქტივები	2.4, 10	0	0	0
ძირითადი საშუალებები	2.3, 9	270,012	232,509	143,492
სულ აქტივები		1,634,687	1,030,771	810,958

ვალდებულებები		31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	2.6, 12	64,706	179,199	205,742
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	6	65	31,056	44,332
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	52,775
მიმდინარე (მოკლევადიანი) სასესხო ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	0	0	0
სხვა ვალდებულებები		36,882	6,616	2,016
სულ ვალდებულებები		101,653	216,871	304,865

საკუთარი კაპიტალი		31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი)		4,203	4,203	593
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		731,459	894,496	540,432
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		797,372	(84,799)	(34,932)
საკუთარი კაპიტალი		1,533,034	813,900	506,093

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,634,687	1,030,771	810,958
---	--	------------------	------------------	----------------



საქმიანობის შედეგები - (შპს ელვა 205108578)

	შენიშვნა	2021	2020
ნეტო ამონაგები	2.1, 4	2,571,849	1,717,313
საქონლის რეალიზაციიდან		67,208	75,495
მომსაურების გაწევიდან		2,504,641	1,641,818
სხვა		0	0
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(164,748)	(180,212)
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საერთო მოგება		2,407,101	1,537,101
სხვა შემოსავალი	5	65,895	64,223
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,122,693)	(922,204)
ცვეთა და ამორტიზაცია		(39,081)	(27,939)
საპროცენტო შემოსავალი	2.7	5,643	2,950
იჯარის ხარჯი	13	(21,488)	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(528,480)	(300,067)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,640,204)	(1,183,037)
საოპერაციო მოგება		766,897	354,064
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(104,319)	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		662,578	354,064
მოგების გადასახადი	2.2	0	0
მოგება / (ზარალი)		662,578	354,064
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		813,900	506,093
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		56,556	(46,257)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,533,034	813,900

